

გეოლოგ-ტექნიკოსი 041462  
პროფესიული სტანდარტი

### I. სფეროს აღწერა

გეოლოგ-ტექნიკოსის საქმიანობაა სამთო-გეოლოგიური დარგის მომსახურება, რომელიც მოიცავს საველე პირობებში გეოლოგიური მასალის, მყარი, თხევადი და აირადი წიაღისეულის ნიმუშების აღებას, დოკუმენტაციას, ლაბორატორიულ დამუშავებას, მიღებული შედეგების გაანალიზებას და ზოგადი დასკვნების გაკეთებას.

### II. დასაქმების სფერო

მოცემული სტანდარტის მიხედვით გეოლოგ - ტექნიკოსის დასაქმების სფეროები მოიცავს სამთო და გეოლოგიური პროფილის ყველა სეგმენტს: კერძო, საჯარო, არასამთავრობო, აკადემიურ სექტორს. ასევე, ეკოლოგიური და გარემოს დაცვის პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებს.

### III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

- მეორე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეორე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

#### IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

გეოლოგ-ტექნიკოსის პროფესიული განათლება არის ოთხსაფეხურიანი (II, III, IV და V) და თითოეულ საფეხურზე შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაცემა პროფესიული დიპლომი.

გეოლოგ-ტექნიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 10 კრედიტს, რომლის 40% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას, რის შემდეგაც ენიჭება გეოლოგ-ტექნიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

გეოლოგ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 20 კრედიტს, რომლის 40% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას, რის შემდეგაც ენიჭება გეოლოგ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

გეოლოგ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 60% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 40% სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას, რის შემდეგაც ენიჭება გეოლოგ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

გეოლოგ-ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 60% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 40% სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას, რის შემდეგაც ენიჭება გეოლოგ-ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

გეოლოგ-ტექნიკოსის მეორე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს	იცის საველე პირობებში გეოლოგიურ ობიექტებსა და მოვლენებზე მარტივი დაკვირვებების ჩატარება; არჩევს ქანების დამახასიათებელ გაშიშვლებებს, ქანების მთავარ და ფართოდ გავრცელებული სახეობების - თიხა, კირქვა, ქვიშაქვა, ფიქალი და ა. შ.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები, ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით.	შეუძლია საველე პირობებში გეოლოგის მითითებით სწორად აიღოს გეოლოგიური ნიმუშები; თავისი უნარის ფარგლებში შეაფასოს გეოლოგიური მოვლენის არსი, გამოიყენოს გამოცდილება სხვა გეოლოგიურ ობიექტებზე მუშაობისას.
დასკვნის უნარი	შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეული დამოუკიდებლობით გაკეთების უნარს.	შეუძლია გეოლოგის მითითებით შესასრულებელ სამუშაოზე მარტივი დასკვნის გამოტანა, რაც საშუალებას მისცემს ანალოგიურ სიტუაციაში დამოუკიდებლად შეასრულოს მსგავსი სამუშაო;
კომუნიკაციის უნარი	პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით. შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.	გეოლოგთან ერთად შეუძლია მარტივ საკითხებზე კომუნიკაცია; გეოლოგიური მოვლენებსა და პროცესებზე მარტივი საუბარი.
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით.	შეუძლია გეოლოგიის საფუძვლების ცოდნის გაღრმავება-გაფართოება დამოუკიდებლად. სათანადო დოკუმენტაციის კლასიფიცირება სამუშაოთა სახეობების მიხედვით. დამოუკიდებლად შეარჩევს საინტერესო გეოლოგიურ ობიექტებს, აწარმოებს მათ საერთო აღწერას.
ღირებულებები	გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.	გათავისებული აქვს საველე გეოლოგიური საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები: ადამიანური ურთიერთობების მნიშვნელობა ჯგუფური მუშაობის პირობებში. ეთიკური და ჰიგიენური ნორმები და პასუხისმგებლობა სამუშაოს მიმართ.

გეოლოგ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>იცის საველე პირობებში გეოლოგიურ ობიექტებსა და მოვლენებზე მარტივი დაკვირვება; ქანების დამახასიათებელი გაშიშვლებების შერჩევა, ქანების მთავარი და ფართოდ გავრცელებული სახეობების - თიხა, კირქვა, ქვიშაქვა, ფიქალი და ა. შ. ერთმანეთისაგან გარჩევა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მოუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია საველე პირობებში გეოლოგის მითითებით სწორად აიღოს გეოლოგიური ნიმუშები; თავისი უნარის ფარგლებში შეაფასოს გეოლოგიური მოვლენის არსი, გამოიყენოს გამოცდილება სხვა გეოლოგიურ ობიექტებზე მუშაობისას.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია გეოლოგის მითითებით შესასრულებელ სამუშაოზე მარტივი დასკვნის გამოტანა, რაც საშუალებას მისცემს ანალოგიურ სიტუაციაში დამოუკიდებლად შეასრულოს მსგავსი სამუშაო;</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>გეოლოგთან ერთად შეუძლია მარტივ საკითხებზე კომუნიკაცია; გეოლოგიური მოვლენებსა და პროცესებზე მარტივი საუბარი.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>შეუძლია გეოლოგიის საფუძვლების ცოდნის გაღრმავება–გაფართოება დამოუკიდებლად. სათანადო დოკუმენტაციის კლასიფიცირება სამუშაოთა სახეობების მიხედვით. დამოუკიდებლად შეარჩევს საინტერესო გეოლოგიურ ობიექტებს, აწარმოებს მათ საერთო აღწერას.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<p>გათავისუფლებული აქვს საველე გეოლოგიური საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები: ადამიანური ურთიერთობების მნიშვნელობა ჯგუფური მუშაობის პირობებში. ეთიკური და ჰიგიენური ნორმები და პასუხისმგებლობა სამუშაოს მიმართ.</p>

გეოლოგ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის არმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>სათანადო დონეზე იცის ზოგადი გეოლოგიის საფუძვლები, აქვს გარკვეული ცოდნა გეოლოგიის ცალკეულ დარგებში, გაცნობიერებული აქვს გეოლოგიური სამსახურის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, შეუძლია დამოუკიდებლად გადაჭრას გეოლოგიურ კვლევებთან დაკავშირებული ნაკლებ რთული ამოცანები. იცის ზოგადი ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის საფუძვლები. იცის გეოლოგიური სამუშაოების დასინჯვა და შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია კონსულტანტის დახმარებით მოახდინოს სამთო გამონამუშევრების-თხრილების, გაწმენდების, შურფების დოკუმენტაცია, გამოხაზოს ჭაბურღილის ლითოლოგიურ-ტექნიკური სვეტი, დაგეგმოს და მოახდინოს გამონამუშევრებიდან მონოლითების, ხოლო ჭაბურღილებიდან კერნის და შლამის ნიმუშების აღება, მათი დოკუმენტირება და ლაბორატორიული კვლევისთვის მომზადება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია სავსე და ლაბორატორიული პრობლემების გადაწყვეტისას არსებული და ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი;</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია გეოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რისთვისაც იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია მარტივი ინფორმაციის დამუშავება უცხოურ ენაზე.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად ათვისოს გეოლოგიური მიმართულებების დისციპლინები; შეიძინოს დამატებითი ცოდნა პროფესიული ბიზნესის სფეროში. გაითავისოს გეოეკოლოგიური თავისებურებები, უსაფრთხოების უახლესი ნორმები სპეციალობაში.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება გეოლოგიური საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და მოქმედებს მათ შესაბამისად; აფასებს გუნდური მუშაობის პრინციპებს. ანგარიშს უწევს როგორც ზემდგომთა, ასევე ხელქვეითთა ინტერესებს. იცავს ეთიკისა და ჰიგიენის ნორმებს.</p>

**გეოლოგ-ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი**

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>აქვს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გეოლოგიურ საქმიანობაში, რაც საკმარისია პროფესიული საქმიანობისთვის. იცის პეტროგრაფია და ლითოლოგიის საკითხები; გეოკარტირება; გათავისებული აქვს საველე და ლაბორატორიული სამუშაოების სპეციფიკა ჰიდროგეოლოგიასა და საინჟინრო გეოლოგიაში. იცის გეოლოგიის მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია ქანების ლითოლოგიურ და გენეტიკურ სახესხვაობებად დაყოფა და მათი აღწერა; საველე– საცდელი და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება; ზედაპირული და სამთო გამონამუშევრების დასინჯვა და მათი დოკუმენტირება; გეოლოგიური რუკების, ჭრილებისა და საპორიზონტო ჭრილების შედგენა; ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო –გეოლოგიური რეჟიმული დაკვირვებისა და სათანადო დოკუმენტაციის შედგენა; შეუძლია აწარმოოს საველე და ლაბორატორიული სამუშაოები ჰიდროგეოლოგიასა და საინჟინრო გეოლოგიაში.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია გეოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებული განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე სათანადო გეოლოგიური ინტერპრეტაცია.</p>

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია გეოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებული იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გაზიარება სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის; შეუძლია უცხოურ ენაზე გეოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია საკუთარი ცოდნის გაფართოების მიმართულებების განსაზღვრა გეოლოგიური საქმიანობის ცვალებად და გაუთვალისწინებელ პირობებში. უნარი შესწევს გამოიყენოს მიღებული ცოდნა უახლესი მიღწევების შესასწავლად; ისარგებლოს მონაცემთა ელექტრონული ბაზებით. შეაგროვოს და მუდმივად განახლოს პროფესიული ინფორმაცია.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	აფასებს საკუთარ და სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. ფლობს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ღირებულებებს. ითავისებს პროფესიის ინტელექტუალურ ღირებულებებს.